საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/79

ქ. ბათუმი 14 დეკემბერი, 2020 წ.

ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო (ონლაინ) დაცვის წესი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების (ამ დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილებით შეტანილი ცვლილების), ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების, ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების, ,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის N01-02/130 ბრძანების, „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბერის ბრძანების (MES 2200001127365), ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს N06-01/44 დადგენილების და ,,უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N698 დადგენილების, ,,ბსუ-ში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით დამატებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 ნოემბრის N01-02/149 ბრძანების, ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 8 დეკემბრის N01-02/152 ბრძანების და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის, თამარ მაჭუტაძის მოხსენებითი ბარათის (MES 7 20 0001177996, 09.12.2020) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო (ონლაინ) დაცვის თანდართული **წესი (დანართი 1).**

2. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები).

3. დადგენილება სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს ბსუ-ს დოქტორანტებს.

4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ფაკულტეტებს (სადისერტაციო საბჭოების თავმჯდომარეებს, მოადგილეებს, მდივნებს) და ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამსახურებს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 დეკემბრის
N06-01/79 დადგენილების
დანართი 1.

ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო (ონლაინ) დაცვის წესი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,ბსუ" ან ,,უნივერსიტეტი") დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონულად ZOOM-ის პლატფორმის გამოყენებით საჯარო დაცვის (შემდეგში ,,ონლაინ საჯარო დაცვა") შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ, ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საჯარო დაცვის თარიღის, საათის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ (ასევე მიეთითება ელ. ფოსტა - dissertation.commission@bsu.edu.ge, რომელზეც საჯარო დაცვაზე დასწრების მსურველებს ექნება შესაძლებლობა გამოაგზავნონ წერილი და მათ გაეგზავნებათ ZOOM-ის ლინკი).

2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი უზრუნველყოფენ ZOOM-ის ლინკის შექმნას და მის გადაგზავნას დარგობრივი სადისერტაციო კომისიის წევრების, შემფასებლების, დოქტორანტის, სამეცნიერო ხელმძღვანელის, სამეცნიერო კვლევების სამსახურის, რექტორის, რექტორის მოადგილეების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და დეკანისთვის.

3. დისერტაციის საჯარო დაცვის პროცესი (პროცედურა) ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და დარგობრივი კომისიის დასკვნას, კერძოდ:

ა) I ეტაპი - დარგობრივი სადისერტაციო კომისიის მდივნის ინფორმაციას დოქტორანტის
შესახებ;

ბ) II ეტაპი -სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენას (პრეზენტაცია 20-30წუთი);

გ) III ეტაპი- მდივნის ინფორმაციას დისერტაციის ირგვლივ არსებულ დოკუმენტაციასთან
დაკავშირებით;

დ) IVეტაპი- შემფასებელთა გამოსვლას და სადისერტაციო ნაშრომის ანალიზს;

ე) V ეტაპი -დოქტორანტის პასუხს შემფასებელთა მიერ დასმულ შეკითხვებზე, რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე;

ვ) VI ეტაპი- შეკითხვებს დოქტორანტისადმი, სამეცნიერო დისკუსიას, აზრის გამოთქმას;

ზ) VII ეტაპი- დარგობრივი სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის შემაჯამებელ შეფასებას;

თ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას ფარული კენჭისყრით.

4. სადისერტაციო კომისიის მიერ ფარული კენჭისყრის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესს ორგანიზებას უწევს ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური, რომელიც სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის შემაჯამებელ შეფასების გაკეთების შემდეგ დარგობრივი სადისერტაციო კომისიის წევრებს ელ. ფოსტის - dissertation.commission@bsu.edu.ge მეშვეობით უგზავნის სპეციალურად, კენჭისყრის პროცესისათვის შექმნილ ელექტრონული ფოსტის მისამართებს **(მაგ:** member1@bsu.edu.ge, ფოსტაზე შესვლისათვის საჭირო პაროლის მითითებით).

5. სადისერტაციო კომისიის იმავე სხდომაზე, სადისერტაციო კომისიის წევრი სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ მიწოდებული ელექტრონულ მისამართზე, არაუგვიანეს 15 წთ-ის განმავლობაში შესვლის გზით აფასებს დისერტანტს (,,ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებისა და ხმის დამთვლელი კომისიის ოქმის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 11 დეკემბრის N01-08/177 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით - წინამდებარე წესის **ფორმა N1**), სადისერტაციო საბჭოს დებულებაში აღნიშნული ერთ-ერთი შეფასებით (იმავე ელ. ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ლინკის გახსნითა და შესაბამისი შეფასების გაკეთებით).

6. კომისიის წევრების მიერ შესრულებული შეფასებებს სამეცნიერო კვლევების სამსახური გადაუგზავნის სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს (ელექტრონულ ფოსტაზე).

7. დარგობრივი სადისერტაციო **კომისიის მდივანი** ავსებს შემაჯამებელ ოქმს ,,ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებისა და ხმის დამთვლელი კომისიის ოქმის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 11 დეკემბრის N01-08/177 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით - წინამდებარე წესის **ფორმა N2).**

8. დარგობრივი სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს აცნობს ზეპირად კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, კომისიის ოქმიდან ამონარიდის სახით, ხოლო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილების მისთვის წერილობით გაგზავნას.

9. დარგობრივი სადისერტაციო კომისიის სხდომის ოქმი და მიღებული გადაწყვეტილება კომისიის მდივნის მიერ ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად ეგზავნება ბსუ-ს რექტორს (შემდეგში დაეგზავნება რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს და მდივანს, ასევე ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურს).

10. სადისერტაციო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე დოქტორანტს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების თანახმად ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

ფორმა N1

,,ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებისა და ხმის დამთვლელი კომისიის ოქმის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 11 დეკემბრის N01-08/177 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის სადისერტაციო კომისიის წევრის მიერ შეფასების ფორმა (ინდივიდუალური)

დოქტორანტის სახელი, გვარი----------

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ----------;

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

- საკვლევი თემის აქტუალობა;
- კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე;
- კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა;
- მეცნიერული სიახლე;
- მოცემული დარგის განვითარებაში დოქტორანტის მიერ შეტანილი წვლილი;
- შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობების დასაბუთება.

დისერტაციის შეფასების სახეები	**კომისიის წევრის შეფასება** (მოინიშნება შესაბამისი გრაფა)
ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;	
ძალიან კარგი (magn cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;	
კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;	
საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;	
დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;	
არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;	
სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.	

შენიშვნა: **სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად.**

ფორმა N2

,,ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებისა და ხმის დამთვლელი კომისიის ოქმის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 11 დეკემბრის N01-08/177 ბრძანების

დანართი №3

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმი #1

”___” _____ ----- წ.

დოქტორანტის სახელი, გვარი----------

ფაკულტეტი ----------;

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ----------;

სადისერტაციო ნაშრომი ----------

კომისიის წევრების შეფასებები:

შეფასებები:	**თითოეული შეფასების შესაბამისი რაოდენობა**
ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;	
ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;	
კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;	
საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;	
დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;	
არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;	
სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.	
საბოლოო შეფასება დგინდება შემფასებელთა საერთო რაოდენობის ნახევრის საუკეთესო შეფასებებიდან ყველაზე დაბალი შეფასების გათვალისწ ინებით. (*კენჭისყრაში მონაწილე კომისიის წევრთა კენტი რაოდენობის შემთხვევაში წევრთა რაოდენობა მრგვალდება მეტობით)	

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ,,----------”

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასების მიხედვით დოქტორანტმა (<u>დაიცვა/ვერ დაიცვა</u>) სადისერტაციო ნაშრომი.

ხელმოწერები:

კომისიის თავმჯდომარე _____

კომისიის მდივანი _____